№ 31. 12 თებერვალი, შაბათი. 1866—1883 12 თებერვალი, შაბათი. № 31.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთი თვისა | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი, [illegible] სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ დაისყიდება შაური.

სამშაბათს, 22 თებერვალს
ტფილისის კრუჟოკში
გამართული იქნება
**ბალი**
ქართველთ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ.
ქალები ვალდებულნი არ არიან გულამოჭრილ კაბებით იყვნენ.
დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

არწრუნის თეატრი.
კვირას, 13 თებერვალს
ბენეფისი
**გ. კორინთლისა**
ქართული დრამატიული დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
**სამშობლო**
დრამა 5 მოქმედ. ფრანცუზულიდგან გადმოკ. თ. დ. ბ. ერისთავისაგან.
ლევან ხიმშიაშვილის როლს აასრულებს გ. ს. ალექსეევ-მესხიევი.
დასაწყისი 8 საათზედ.

## ტელეგრამმა

(„სხრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

### სამზღვარ-გარეთიდამ

10 თებერვალს

პარიჟი. ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია ახალ სამინისტროს სია, რომელიც ეთანხმება გუშინდელს გაზეთებში გამოცხადებულს სიას, მხოლოდ გაჭრობის მინისტრად დანიშნულია ჰერისონი და მეურნეობისა—მელინ. რვა ახალს მინისტრში ოთხი „რესპუბლიკელთა კავშირის“ დასს ეკუთვნის და ოთხიც „დემოკრატიულს კავშირს“ ყველაზე პირველად ამ სამინისტროს განზრახვა აქვს, რომ პრინცები გადააყენოს თავიანთ თანამდებობიდამ.

რომი. იტალიის ტრიპოლისელ კონსულის შეურაცხყოფის თაობაზედ, ოსმალეთმა დააკმაყოფილა იტალიის მოთხოვნილება: ტრიპოლის გუბერნატორს მისწერა ბოდიში მოიხადოს ხსენებულ კონსულის წინაშე და იმის შეურაცხყოფაში დამნაშავენი კი ციხეში ჩაამწყვდია.

### რუსეთიდამ

10 თებერვალს

ოდესსა, ნავსადგურზე ყინულის ასაფეთქად ათი ათასი მანეთია დანიშნული. ამბობენ, რომ ნავსადგურზე ხომალდება შაბათს ან კვირას თავისუფლად დაიწყებენ სიარულსაო.

პეტერბურღი. უცხო ქვეყნის გაზეთებში დაბეჭდილია, რომ ჩვენს მმართებლობას ოთხი ისეთი ხომალდი შეუკვეთია სამზღვარ გარეთის ქარხნებისათვის, რომელიც ზღვაში ლადუმების ჩასადებად არიან დანიშნულნი. ეს ხომალდები გაზაფხულზე მზათ იქნება და ნიკოლაევში მოვაო.

„გოლოსს“ სწერენ კიევიდამ, აქაურ შაქრის მექარხნეებმა გარდაწყვიტესო, რომ გაავრცელონ თავის წარმოებაო.

## დღიური

ჩვენს ქალაქში ხმა გავრცელდა, ვითომც პეტერბურღიდამ ცნობა მოსულიყოს, რომ მთავრობამ პრიკაზის ვალი აპატია ჩვენს თავად-აზნაურობასაო.

ამ ამბავს საფუძველი არ უნდა ჰქონდეს, ერთი იმიტომ, რომ პრიკაზის ვალის სრულიად პატიებაზედ ლაპარაკი არც ყოფილა და არც იქნება; ვალი თუ აპატიეს, უნდა ეპატიებინათ ისე, როგორც ამ საგნისათვის შემდგარმა კამისიამ გარდაწყვიტა, ე. ი. ზოგს სულ ეპატიოსო და მომეტებულ ნაწილს კი ჯარიმა, ერთი წილი ვალისა, სარგებელი და სხვ.; მეორე, ამ საგანზე სჯა უმაღლესს მთავრობას სრულიადაც არ ექნება, სანამ კამისია, რომელიც მთავარ-სამართველოსთან არის შემდგარი, პრიკაზის გაუქმების თაობაზე თავის აზრის გამოსათქმელად, ამ აზრს არ წარუდგენს მთავრობას.

* * *

მართლა, პრიკაზის თაობაზედ: ჩვენ შევიტყვეთ, რომ იმის გაუქმების თაობაზედ დანიშნულ კამისიას გამოუთქვამს ის აზრი, რომ ამ ჟამად, როდესაც ქალაქში საადგილ-მამულო ბანკია, რომელიც იმავე სარგებლით აძლევს ფულს, სოფლის მამულის გიროად, რა სარგებლითაც პრიკაზიო; ამას გარდა, როდესაც ქალაქის მამულის დაგირავება სხვა ბანკებშიაც შეიძლებაო,—პრიკაზს დაეკარგა სრულიად მნიშვნელობაო და უნდა გაუქმდესო.

* * *

პირველის იანვრიდამ ჩვეულებრივად შუადღეზე არ ისვრიან ზარბაზანს ბალის თავიდამ. ამბობდენ, რომ დღეის შემდეგ არსენალიდამ უნდა ისროლონო, მაგრამ ეს მეორე თვეა, არც იქიდამ გვესმის.

ურიგო არ იქნება, რომ ეს ჩვეულება არ გარდააგდონ, რადგან ღარიბი ხალხი ამ შუადღის ზარბაზანს უყურებს, მაშინ ანებებს ხელს მუშაობას, პურის ჭამას მაშინ შეუდგება და საზოგადოდ ამ ზარბაზნის წყალობით იტყობს დროს.

* * *

მაილილ ოთხშაბათს ბ. ქ. მესხმა თავის ბენეფისისათვის დადგა თავის ახალი ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამმა „ბაგრატ მეოთხე“.

ავტორს ნამდვილი დრამატიული დრო და შემთხვევა აულია იმერეთის ისტორიიდამ და თუმცა ზოგიერთი წვრიმალი შეცოდება მოსულია ისტორიის წინაშე, მაგრამ უმთავრესი შინაარსი პიესისა სრულებით ეთანხმება ისტორიას.

მაგრამ, როდესაც მაყურებელი ჰხედავს სცენაზე ამ პიესას, როდესაც რწმუნდება ავტორის ხელოვნებაში და

---

«დროების» ფელტონი, 12 თებერვ.

## შაკეტტ

### მოთხრობა ჟულ გლუვესი

(ნათარგმნი ფრანცუზულიდამ)

### I

პირველ მარტს 1814 წ., დილის ოთხს საათზე, პლესიეს მცხოვრებლები შეკრებილიყვნენ ერთს დიდ მინდორზე. რაღაც ახალი ამბავი მოსვლოდათ მეორე სოფლიდამ.

წინა დღითვე შორიდამ ზარბაზნების ხმა მოისმოდა და შეშინებული და გაშტერებული ხალხი მოელოდა ამბავს. პრუსიის ჯარი მიეჩქარებოდა სოასონისკენ.

მოხუცებული გლეხები, რომელნიც განთავისუფლებულიყვნენ საომრად წასვლისაგან ამოტლაპულნი ტალახში მიეჩქარებოდნენ, რომ გაეგონათ შიკრიკის ნაამბობი. მთელი სოფელი დაცარიელებულიყო, ბოსლების კარები ღია ეგდო, ბეღლები გადმობრუნებული, არც ერთი შინაური ფრინველი არ მოჩანდა ეზოებში. ერთის სიტყვით, სოფელი წარმოადგენდა საზარელს სურათს.

ერთი ახალ-გაზრდა დედა-კაცი იდგა თავის სახლის კარებთან გულზე ხელებ დაკრეფილი, გაყვითლებული და გაშეშებული. ერთი დიდი ვარდის ხე იდგა კარების წინ, ისიც ზამთრისაგან ფოთლებ გაცლილი.

— შენი ვაჟკაცები სუყველანი წავიდნენ, შაკეტტ, უთხრა ერთმა გამვლელ მოხუცმა; ჩვენი დედა-კაცებიც ემზადებიან დახიზვნას სადმე; შენც რატომ იმათ კვალზე არ მიდიხარ?

— მე ალარაფერი მაქვს დასაკარგავი; მე აქ უნდა მოვკვდე... უპასუხა ქალმა ცივის ხმით. ჩემმა კაცმა ჩვენ ქორწილის დღეს დარგა ეს ვარდის ხე; მეც მაშინ დავენერგე აქ და არც მოვშორდები არა დროს. აქვე მოვა ისა ჩემს წასაყვანად, როცა ღვთის ნება იქნება.

მოხუცებულს შეეცოდა ეს ახალგაზრდა ქალი; უნდოდა ეთქვა რამე, მაგრამ შაკეტტ წამოხტა, მივარდა მოხუცებულს და წაიბუტბუტა:

— ყური დამიგდე!

ამ დროს შიკრიკმა აიმაღლა ხმა.

— დიალ, ჩემო შვილებო, ახალი ამბავი მოგიტანეთ. შეიძლება ნამდვილად ვსთქვა, რომ ჩვენ ალარაფერი გვიჭირს. ის შეჩვენებულები, რომელთაც გაბედეს ჩვენკენ გამოლაშქრება, ველარ ნახავენ თავიანთ ქვეყანას...

— ყველას ამოხოცვა არ შეიძლება, წამოიძახა ერთმა. ერთობ ბევრი არიან!

— რას როშავ შენ მანდ? სათითაოდ ამოხოცვენ,—ეს პატარა ტუნდუს ჩვეულებაა. უნდა გითხრათ, რომ ის დაეცემა ერთის მხრით იმ დროს, როდესაც მეორეს მხრით მორტიერი ეომება; პრუსსიელებმა იმედი დაჰკარგეს და გარბიან მდინარე ენისკენ. აი, სწორედ იქ დალევენ სულს.

— ხიდები ხომ მოშალეს?

— საცა კი დარჩა ხიდი, ყველგან კარგი ზარბაზნები დგას და შიში არ არის.

ამ ამბავმა ყველანი აღტაცებაში მოიყვანა.

ბოლოს შიკრიკმა დაუმატა:

— ზამიგონეთ, მარშალის მარტიერის განცხადება:

„სოფლის მცხოვრებნო! აიღეთ ხელში იარაღი და გადით საომრად, როგორც ეკადრება მამულის ნამდვილს შვილს, ნამდვილს ფრანცუზს. დაიცევით თქვენი სახლ-კარი, თქვენი ქვეყანა, ეომეთ ჩვენს ქვეყანაში შემოსეულს მტერს, ნუ გაინდობთ, ნუ დაზოგავთ თავს. ეს თქვენი მოვალეობაა“.

ყველანი გაკვირებული უყურებდნენ ერთმანერთს. ბოლოს ერთმა წამოიყვირა:

— რა დაგემართათ, რას გაშეშდით, დაყრუვდით? ყველგან იბრძვიან და ჩვენ გვეშინიან თუ?

— კი არ გვეშინიან, უპასუხა ერთმა, მაგრამ თავვე არავინა გვყავს.

— რა მოთავე გვინდა, ერთი წაგვიძღვება და სხვები გავყვებით.

— იარაღი რომ არა გვაქვს? ოცდა-სამ სულზე ათი თოფი და სველი წამალი რას გვეყოფა.

— ზანა სხვა არაფერი გაქვსთ? სად არის თქვენი კეტები, ცული, ბარი? ვაი უბედურებას! ზანა საჭიროა, რომ უძლურმა დედა-კაცმა გასწავლოსთ და აგიხსნასთ, რომ კაცებმა უნდა სამაგიერო გადუხადონ იმ შეჩვენებულებს!

სცენის მოთხოვნილებათა ზედ-მიწევნით ცოდნაში, სასტიკ კრიტიკოსსაც ძალა-უნებურად ავიწყდება ის წვრილი ნაკლულევანება, (მაგ. მეორე მოქმედებაში ლექსით დაწერილი ზოგიერთი ადგილები და სხვ.), რომელიც პიესაში იპოვება.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაში პირველმა, მესამე მოქმედებამ და მეოთხე მოქმედების ბოლომ.

აქტორი და მოთამაშენი რამდენჯერმე ტაშის-კვრითა და „ბრავოთ“ გამოიხმეს; და ეს ტაში და ბრავო ორივემ დაიმსახურა, თუმც ზოგიერთ მოთამაშეებს აქაც დაეტყოთ, სამწუხაროდ, თავის ჩვეულებრივი სენი — როლების უცოდნელობა.

საზოგადოდ შეიძლება ვთქვათ, რომ „ბაგრატ IV“ ისეთი პიესაა, რომელიც დარჩება ჩვენს რეპერტუარში.

***

მაღალ ყოვლად-სამღვდელო ეგზარხოსის განკარგულებით, გუშინ, 10 თებერვალს, დაკეტეს ქაშვეთის ეკლესია; მიზეზი ისაა, რომ კედელი გაბზარული აქვს და არხიტექტორებმა უნდა შეამოწმონ.

***

დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია ბ. დ. ი. ყიფიანის წერილი ბ. ბიკოვისადმი, რომლითაც თანაგრძნობას უცხადებს ამ პირს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ აზრის გამოთქმისათვის.

„მე არ ვამბობ“, — იწერება, სხვათა შორის, ჩვენი პატივცემული მოხუცი, — „რომ თქვენს მხარეს არის ქრისტეს ეკლესია, ეკლესია სიყვარულისა და შენდობისა, რადგანაც იპოვებიან ისეთი პირნი, რომელნიც უარჰყოფენ ყოველგვარ ეკლესიას, ყოველგვარს ღვთაებას, — არა, თქვენი მხარე უჭირავს თანამედროვე განათლებას... პოლიტიკურს ეკონომიას, რომელიც ჰკიცხავს ყოველგვარს ძალის მოსპობას, რომელსაც-კი სარგებლობის მოცემა შეუძლიან, თქვენი მხარე უჭირავს კაცობრიულ გრძნობას, ყოველ ნებათა და ცრუ მორწმუნოებისაგან დამოუკიდებელს, გრძნობას, რომელიც გვამხილებს, რომ სიკვდილით დასჯა ადამიანისა — არის ადამიანის მკვლელობა, მკვლელობა მით უფრო დასაძრახისი, რომ იმას ახდენენ სასამართლოის სახელით“.

***

ჰაერი გამოიცვალა და თითქოს გაზაფხულის სუნმა დაჰკრა. სიცივეს შეუჩვეველი ჩვენი საზოგადოება გამოიფინა ქუჩებში და სტკბება მშვენიერის დარით, თბილის მზით.

ეხლა, როდესაც სითბო დაიწყო და ყველა უწმინდურება ლპობას დაიწყებს, მეტი არ იქნებოდა, რომ განკარგულება მოეხდინათ და წმენდა დაეწყოთ იმ ადგილებისა, სადაც საყასპოები და ბაყლები არის. აგრეთვე მეტი არ იქნებოდა ყურადღება მიექციათ აბანოების უბნისათვის, რადგანაც ვიწრო ქუჩები მუდამ სავსეა უწმინდურებით და უმთავრესად აქედამ ჩვენი ქალაქის ჰაერი.

***

ამ დღეებში დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვა ბ. მოჩხუბარიძის მოთხრობა „ცეკო“, რომელიც ამ წლის „ივერიის“ პირველს წიგნში იყო დაბეჭდილი და რომელიც შეეხება მოხევეთ ცხოვრებას.

***

ჩვენ მივიღეთ ერთი ახლად-გამოსული ქართული ბროშურა, სახელად „როგორ უნდა მოშენდეს აბრეშუმი“? შედგენილი ბ. არჩილ დარეჯანაშვილისაგან.

ამ გვარი, სამეურნეო საგნის შესახები, წიგნები დიდს საჭიროებას შეადგენს ჩვენთვის და ამიტომ ავტორი მადლობის ღირსია. ბროშურა სამ შაურად ისყიდება.

***

ფოთიდამ გვწერენ:

„დღეს, 7 თებერვალს, დილის ათ საათზედ ერთ აქაურ მოქალაქეს სტეფანე ღამბაროვს სახლი დაეწვა. ცეცხლი გაჩენილიყო სახლის სახურავზედ ბუხრიდგან, და შიგ მყოფთ ვერ გაეგოთ, სანამ სულ არ მოედო სახლის სართულს ესე რომა თითქმის ყველაფერი დაიწვა რაც იყო ამ სახლში. ამბობენ, ხუთასი თუმნის ნივთები დაეწვაო და დოკუმენტები.

„არც სახლი და არც ნივთები პატრონს „სტრახში“ არა ჰქონია.

„ეს პირველი ცეცხლია მას შემდეგ, რაც სამოქალაქო უპრავა გაიხსნა აქ და იმედია, რომ ამ ქალაქის ნაკლულებას ყურადღება მიექცევა, ხელ ცარიელი აღარ დარჩებიან ცეცხლის დროს, მით უფრო რომ აქ თითქმის სულ ხის შენობებია“.

***

ქუთაისიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ:

„რვას ამ თვეს, საღამოს ჩამოვიდნენ ჩვენს ქალაქში ერთი მაჭავარიანის ქალი თავის სიძით ასათიანით და ბიძით მაჭავარიანით. ესენი ჩამოვიდნენ პროკურორთან ქალილის შესატანად ზემოხსენებულ ქალის მოტაცების თაობაზედ. ეს მაჭავარიანის ქალი მოიტაცა დეკემბერში უზნაძემ და მესამე დღეს წაართვეს სოფელ სვიმონეთს ხევის თავეშირს შემწეობით. ამაზედ რამდენჯერ [illegible] გამომძიებლისათვის და ყურადღება არ მიუქცევია და ამის მიზეზით ახლა ჩამოვიდნენ პროკურორთან საჩივლელად.

„გათენდა თუ არა, მეორე დღეს დილით წავიდნენ, ქალალდი მისცეს და გამობრუნდნენ ფაეტონით. სილაზე, მესხეთის გზაზე, ამათ დაუხვდა წინ თორმეტამდის კაცი. ფაეტონი შეაჩერეს და ქალის ბიძას მაჭავარიანს უთხრა ერთმა იმათგანმა: — გადმობძანდით პატარახანი, თქვენთან საქმე მაქვსო. მაჭავარიანი მიბრუნდა იმათკენ. მიბრუნების თანავე იმ კაცმა მოავლო ხელი ამ მაჭავარიანის ხანჯალს და შეაწყვიტა. მეორე ნათესავმა ასათიანმა იტაცა ხანჯალზედ ხელი, უნდა ამოეღო, მაგრამ ამ დროს მეორე მივარდა, გადუტრიალა ხანჯალი და ზედ მიატეხა ტარი.

„ბოლოს გადმოჰყარეს ეს ორი კაცი, იმავე ფაეტონში ჩაუსხდნენ ქალს და გააქროლეს მესხეთის გზისაკენ. ქალმა ბევრი იყვირა, ამ კაცებმაც ბევრი იძახეს — გვიშველეთ, პოლიცია და ხალხოო! მაგრამ კაცმა ყური არ ათხოვა.

„მომტაცებლებს ჰყოლიათ დილიდამ მზად ფაეტონი იქავე გაჩერებული და ოთხი ცხენით შებმული. როგორც გაცილდნენ ქალაქს, იქ დახვდათ ცხენები და გასწიეს...

ნათესავები კი წავიდნენ პოლიციაში. აქედან გაიქცნენ პროკურორთან, იმან უთხრა: ჩემი საქმე არარისო; მერე გაიქცნენ ჟანდარმის პოლკოვნიკთან, იმანაც ჩემი საქმე არარისო. დაბრუნდნენ გულ მოსაკლავის ტი[...]

---

შაკეტ იდგა გულ-ხელ დაკრეფილი და ასე გაცხარებული ლაპარაკობდა, რომ მთელი ხალხი თრთოდა იმის სიტყვებზე.

— არა, მე უარზე არ ვდგევარ, რომ ამოვხოცო პრუსსიელები, წაიბუტბუტა ერომა.

— არც მე, სთქვა მეორემ, ჩვენ თუ არა გვაქვს თოფები, განა იმათ არა აქვთ, იმათ წავართვათ.

ზოგიერთები ჩაფიქრდენ.

შაკეტ მივიდა იმათთან და უთხრა:

— თქვენ უკან დგებით? არ გრცხვენიათ იმისი, რომ თქვენი სამშობლო ააოხრეს და სხვა ქვეყნის ხალხი სრესს თქვენის ოფლით მორწყულ მიწას?! ჩვენს ყანებს ატყვია პრუსსიელების ფეხის კვალი და ეს კვალი არ გიდუღებსთ სისხლს? ოჰ! ჩემო შაკ, შენ დიდად ბედნიერი ხარ, რომ მამულის დახსნისთვის, შესწირე თავი და არ ხედავ ამ უბედურებას. აღარ არიან ჩვენში მამაცები, რომ მამული დაიცვან!

— მაგრე გგონია, შაკეტ? მოიცა პატარა. აბა, ყმაწვილებო, შევუდგეთ გზას! კაცი მარტო ერთხელ მოკვდება; წავიდეთ.

და ამ სიტყვების მთქმელმა აიღო ხელში შუბი. ის იყო მაღალი ქალარა-შერეული კაცი. დანარჩენებიც, იმის ამხანაგები იმის მაგალითით წავიდენ.

— გავუდგეთ, ძმებო, გზას. დავუმტკიცოთ ბლიუხერის სალდათებს, რომ ჩვენ მშიშრები არა ვართ.

---

## ნამწყემსარის მოგონება

(დასასრული *)

## VII

მთელი ჩვენი მოგზაურობა მინდორზედ, ვიდრე ბრაგუნს გავიდოდით, ერთგვარად მიდიოდა. ყაზახების ურიცხვი სტანიცების ადგილებზედ ისე არ გაგვივლია, რომ ბარი არ მოედოსთ და ჩხუბი არ აეტეხათ, მაგრამ მწყემსები სიმარდემ უფრო მეტად დაგვაკავშირა ერთმანერთს და ზურგი გაგვიმაგრა. თუ საჭიროება მოითხოვდა ხოლმე ბრძოლით და ჩხუბით ვიკვალავდით გზას, რომელიც სამართლით ჩვენთვის თავისუფალი უნდა ყოფილიყო.

მხოლოდ მაშინ გავიგე, რა მდგომარეობამაც ათქმევინა ჩვენს მწყემსებს: „ღმერთო გვარიდე რუსის შარს“, რადგანაც მშვიდობიანობის დამცველი ყ ზახები უშფოთოდ და ბარმოუკიდებლად ფეხს არ გვადგმევინებდნენ. მაგრამ რა განსხვავება იყო: ჩეჩენთ სოფლები რომელთ ავკაცობაც, შეუბრალებელი, გარეგნული ხასიათი ბავშობიდგანვე ყურში გვქონდა ჩაწვეთებული.

ისინი დაგვიხვდებოდნენ თუ არა, ზრდილობიანად სოფლის ბოლოს, მოგვესალმებოდნენ თითქოს დიდი ხნის ნაცნობები, აიღებდნენ ხელში წკეპლებს და გვშველოდნენ სოფლის გაცლებას. ღიმილით და მზრუნველიანად გვკითხავდნენ ჩვენს მოსავალზედ, მშვიდობიანობაზედ და საზოგადოდ „გურჯეთის ხაბარზედ“, რომლის შეტყობა ისე უნდოდათ.

ხალხში აშკარათა სცოცხლებდა ამ ხალხთან მეზობლობის რწმუნება, უყურებდა გურჯებს როგორც რაღაც მოძრავს ძალად, რომლის ბედ-იღბალიც თითქოს ენათესავებოდა ამ სიკეთით სავსე ხალხის ცხოვრებას.

თქვენ ვერა ნახავდით ჩეჩნის სოფლებში „გალექებულს“ დამთვრალს ხალხს, როგორც რუსის ყაზახებს, რომელნიც დილით საღამომდე დუქნებშია, სადაც ყაზახები არამც თუ თავიანთ საცხოვრებელს ღუპვენ, არამედ ჰყიდიან თავის ტანისამოსს და ბევრჯელ ცოლებსა და ქალებსაც კი აშიშვლებენ და თავის გალოთებულს მუცელს აკმაყოფილებდნენ.

თქვენ ვერ ნახავდით ჩეჩენის ქალებს, რომლებიც აშკარა გარყვნილი ღიმილით, შეხუმრებით და ნიშნებით შეგაწვევდნენ სახლში; ვერ ნახავდით არამც თუ დამთვრალს დედა-კაცს, არამედ ნასვამსაც, როდესაც რუსის დედა-კაცები, ბევრჯელ ხანში შესულებიც ვალაჯული დგანან დუქნის კარებში, გადაჭარბებულს ოტკას არწყევენ და გონება დაკარგულნი რაღასაც ლუღლუღებენ.

ბევრჯელ იქვე გვერდით უდგასთ რუსის ყაზახები, რომლებიც ან გულგრილად, ან სიამოვნების ღიმილით უყურებენ ამ შესაზარს, სამარცხვინო სურათს, რადგან მოელიან იმათთან სასიამოვნო დროს-გატარებას.

ისინი იგინებიან, ილანძღებიან უშვერის პირით, ათრევენ ერთმანერთს თმებით, მაგრამ ყაზახებზედ ამას არავითარი მოქმედება არა აქვს, თითქოს ეს ასე უნდა იყოს, თითქო იმათი ცხოვრება მიდიოდეს წესიერს, ადამიანის საკადრის კვალობაზედ.

ბევრჯელ შემხვედრია ასეთი სურათი, როდესაც ჩეჩენს გაუვლია ყაზახების დუქნის წინ და რა დაუნახავს

*) იხ. „დროება“ № 28.

რილით: აბა რა ექნათო? საღამოს წავიდნენ ღუბერნატორთან; ღუბერნატორმა უთხრა მაზრის უფროსი ნახეთო. წავიდნენ მაზრის უფროსთან. იმან გაგზავნა პრისტავთან, ის მოძებნისო. მოვიდნენ პრისტავთან და პრისტავმა უთხრა, დღეს ქორწილში ვარ დაპატიჟებულიო, ვერაფერს ვერ გავარიგებო და ხვალ მოდითო“.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ზაქათალის მაზრიდამ, 30 იანვარი.** ნამდვილი სუსხიანი და ცივი ზამთარია მთელს მაზრაში. თოვლი ნახევარ არშინამდე დგას მწვანე სუდარა ბუნებამ თეთრად შესცვალა. მრიელმა სუსხმა დაჰბერა, ზამთარმა სასტიკად მოუშჟირა ყველაფერს, რასაც ჯერ კიდევ ჰქონდა სიცოცხლის ნიშანი, უცემდა მაჯა. სმინავს გაყინულგასიპულ ბელაქნის წყაროს, სმინავს მაზრის მთიულ წყაროების მამა მთავარ ქურმუხს; აღარ აქცევს ს. კაკს, არ უგდის უხვ ნაყოფიან ბაღ-ბაღჩებს, ლამაზ-ეზო-ყურეებს; აღარა ჰრჩის ჩვენს მამა-პაპის—ამდევ გმირების ძვლებს, რომელნიც მის ნაპირას სავანში საუკუნოდ დიდი ხანია განსვენებას მისცემიან. მის მიბაძვით კაკის გვერდზედ ცამდის თავ-აზვჯენილს ულუბაშის მთას თავით ფეხებამდის გარდაუფარებია თეთრი სუდარა, მონიჭებული ბუნებისგან.

ვინ იცის და მოსთვლის ამ მთას თეთრად შემოსილს მთლად იდუმალს მიცემულს, რაოდენი ბრწყინვალე დღენი უხილავს ჩვენი წინაპრებისა, რამდენჯერ სმენია საყდრებიდგან ზარების რაკუნი და თავის ღელეებიდგან მასაც ბანი მიუცია? რამდენჯერ ყოფილა მოწმად შავთა დღეთა მამულის შვილებისა შემოსევის გამომტრებისა, რომელთა სისხლით არა-ერთხელ მამულის-შვილებს მინდვრები მოურწყავთ საშინელის შუქა ქუხილის, და ბრძოლის შემდეგ, მსგავსად მდ. ქურმუხისა?

ან რაღასღა ხედავს იგი გარდა მრავალ საყდრების აოხრებულ ნანგრევებისა და დაგოდილ ს. კაკისა, რომელსაც დღითი დღე ქურმუხი ანგრევს და ატიალებს! ვინ არის მისი დამცველი, გარდა დაუმღურებულ, ილაჯ-გაწყვეტილ, გულ-ხელ ჩაკრეფილ, ღატაკ ინგილოებისა, რომელნიც იქამდის დავარდნილან, რომ აღარა აქვთ ძალა დაიცვან, არამც თუ მამულ-დედულები, არამედ მხოლოდ მამა-პაპების უმკვირფასესი ძვლებიც კი!.. ან რაღა ესმის მის ულუბაშის ყურთა-სმენას, გარდა ბაიყუშების ყივილისა, ტურების ჩხავილისა, ქურმუხის სუვილისა და მაღლების ყეფისა?

ასეთია მწუხარე სურათი ჩვენში ზამთრის ბუნებისა. ყველაფერს თავი ჩაუღუნავს კავკასიონის მთების კალთებიდგან მოკიდებული ვიდრე სიღნაღის მაზრამდე ბრწყინვალე გასპეტაკებულს თოვლს. რა სამწუხარო იქნებოდა, თუ იმედში არა გვქონოდა გაზაფხული, რომელიც მსწრაფლ გააცოცხლებს ბუნებას! მაშინ ამწვანდება, აყვავდება ბუნება ალაზნის ველამდე, მინდვრები შეიმოსებიან...

მაგრამ ჩვენ რა? ეს სიმდიდრე და მადლიანი ბუნება ჩვენთვის არ არსებობს... დღეს ჩვენ ვხედავთ აქ დაქცეულ და აოხრებულ სოფლებს, ქალაქებს და საყდარ-მონასტრებს, სხვა-და-სხვა ნანგრევთა რიცხვი 300-მდეა. აქედგან, როგორც ისტორიკოსები და ხალხთა თქმა გვაუწყებს, შუა აზიაში გარდაუსახლებიათ 80,000 მცხოვრები და მაგიერად კი შემოუჩეჩებიათ სპარსები, მუღალები და სხვა-და-სხვა „ყიდმიღები“.

მეჩვიდმეტე საუკუნიდგან დაწყებული გვადგია ზამთარი აქამომდე განუწყვეტელი, რომელიც დღეს თუ არა ხვალ დედამიწასთან გასწორებას გვემუქრება.

ჩვენი უმთავრესი უბედურება გახლავთ ჩვენი უმეცრება, უცოდინარობა ჩვენი და გარშემოზღუდულ ხალხების ცხოვრებისა. მამა-პაპებს ჩვენსას შეეძლოთ ყოველთვის ბარბაროსების წინააღმდეგობა, ბრძოლა იმიტომ, რომ მაშინ თითქმის ორივე მხარეს ერთ ნაირი საშუალება და იარაღები ჰქონდათ. აწინდელს, ესრედ წოდებულს „კულტურულს“ ბრძოლაში თავის დასაცველად ჩვენი იგივე უწინდელი იარაღი კი მეტად ჩლუნგია, რომ ყოველ გვარს სატანჯველს თავი ავაცდინოთ. მოვა გაზაფხული და ზაფხული თუ არა, აიშლებიან ჩვენი სენები.

ეს ექვსი-შვიდი წელიწადია, რაც მრავალ რიცხოვან მთის ხევებმა (წყაროებმა) გაზაფხულ-ზაფხულ წყალდიდობის გამო გააოხრეს, ჩარეცხეს, სადა-კი იყო მადლიანი და ნაყოფიერი ნიადაგი და მის მაგიერად შემორიყეს ქვებით, გადააქციეს და კიდეც აქცევენ რიყედ. ამის წინააღმდეგ ჩვენმა უცოდინარობამ ვერ იპოვა საშუალი.

ეს ოციოდე მეტი წელიწადია, რაც იწყო გაქარწყლება საზოგადო მიწის მოვლობელობამ. გლეხობამ შეიტყო მიწის მნიშვნელობა, შეუდგა თავის მეურნეობის ცოდნით მიწის შემუშავებას; გაიკეთეს შრომის ოფლით ეზო-ყურე, დარგეს ვენახები, ბაღჩები თუთისა ჭიის მოსაყვანად, გამოსადეს ახოები დაბურულს ტყეებში, მოიმატეს ამითი ბევრის ჭაპანწყვეტის შემდეგ მრავალი ნაყოფიერი სახნავი მიწები. და როცა საქმე მიდგა გამორჩომაზედ, სარგებლობას გლეხობას ხაფანგები დაუგეს სომხის ვაჭრებმა და ბევრმა მათ მსგავს მეჯილტარვალებმა და აწ მიაღწიეს თავის მიზანს.

მოკლედ: ესლა ბზე გლეხებს და ხორბალი მეჯილებისა. ზოგიერთნი ამაზედაც როდი დაყაბულდნენ, თქვეს: ბზეც მე და ხორბალიცო! ამოუსვეს გლეხობას პირში ჩალა და დაიჭირეს იმათი სისხლის ოფლით გამონახადი ახოები, რომელნიც შეიცავენ ორას-ათას დესიატინა ფრიად ნაყოფიერს მიწას. ისე წაჰგლიჯეს, რომ გლეხობამ „ბიჯოსის“ თქმაც ვერ მოასწრო. ს. ბელაქანში მთელი შვიდასი კომლის სახნავ-სათესი საზოგადო მიწები ამ ათიოდე წლის განმავლობაში თითქმის მთლად დაიჭირეს ათიოდე პირმა.

ამ ნაირად გლეხობა რჩება სრულიად უმიწა—წყლოდ.

მთელი ქალაქი ზაქართალა ჩამოსულ ვაჭრების საკუთრება გახდა; აქ მაზრელებს ერთი დუქნის ალაგი რომა ვსთქვათ, არა აქვთ ისრე განდევნილი არიან.

ზაოფხულობით შემუშავებული მინდვრები და მამულები რომ ნახოთ, იტყვით: „ამ მაზრელებზედ უმდიდრესი ხალხი საქართველოში არ მოიპოვებაო“. რა გნებავთ, არა ნახოთ ბლომად ძროხის და კამბეჩების ნახირები, ცხენების ჯოგები, ცხვრის ფარები, თხილის, კაკლის, წაბლის ხეებით და სხვა ხეხილებით შემკული ადგილები. ზამთარში იშვიათი დიასახლისი მოგართმევსთ თქვენ აქ ერთს მუჭა თხილს, ან სხვა ხილეულობას; ჰყრიან ცეცხლა პირას ტიტლიკანა ბავშვები და აცახცახებენ კბილებს სიცივის გამო; მათი მშობლებიც, ორმოც-და-ათ ჯერ დაკერილ ჩვრებში გახვეულნი, მოჯდომიან ცეცხლს. ზამთარში გაცივებულნი

შესაზარებელი სურათი: დედაკაცისაგან დაკარგვა ნამუსისა, პატიოსნებისა და ადამიანის დანიშნულებისა, გაუთლელს ჩეჩენს, როგორიც ისინი ჩვენა გვგონია, პირი მოურიდებია, ზიზღით გადაუფურთხებია და თვალების ცისკენ მიქცევით წ მოუძახნია: იალაჰ!

მაგრამ ეს „იალაჰ“ გინდა გაეგონათ რა ხმით წარმოუთქვავს იმას, რომ გაეგოთ რამდენად აღელვებული გაურყვნელი ბუნება, ამ კაცობა-დაკარგულის სურათის ნახვით...

ჩვენი მგზავრობა ვიდრე ადგილზედ ჩავიდოდით გაგრძელდა სწორედ ხუთი კვირა, ხუთი კვირა წყნარისა და ზოზინით სიარულითა.

ამ ხნის განმავლობაში, ორი დღე ზედი-ზედ მზე არ გვინახავს, რადგანაც არა-ჩვეულებრივი წვიმა განუწყვეტლივ თავს გვესხმოდა.

წარმოიდგინეთ რა სიხარულით მივაღწიეთ გროზნას, სადაც იმ ხანში ნაჩალნიკობდა ჩეჩნებისგან დაუვიწყარი თავადი ნ. ერისთავი, რომელიც მშობლიურის ზრუნვით ეკიდებოდა ამ საცოდავს და დაჩაგრულს ხალხს; მარტო იმას მიაჩნდა ჩეჩენი ადამიანად, სხვებისთვის კი ეს სახელი გაიგებოდა როგორც ავაზაკი, უეჭველად მტყუანი და ღირსი მათრახისა, გარდახდევინებისა და ბოლოს საღრჩობელისა, ან ციმბირისა.

გამოვლილმა გზამ დამანახვა რამდენი ხათაბალა სდევს ჩემ გვარს მგზავრს ყაზახებთან შეხვედრის დროს და მე მინდოდა მეთხოვა ნაჩალნიკისთვის ქაღალდი, რომლითაც სტანიცების მმართველებს შემწეობა მოეცათ წესიერების აღსადგენად იმ ხალხში, რომელიც დაესახლებინათ განათლების გასავრცელებლად.

გროზნაში გავხსენი ჩემი ჩემოდანი, რომელიც გახვეული იყო ხალიჩაში, ზეიდგან გადაფარებული ნაბადი ჰქონდა, მაგრამ ავდარი შიგ გავარდნოდა და ტანისამოსი მთლად დასველებულიყო. აქედგან დაინახავთ რა საშინელება უნდა გამოგვევლო გზაში და რამდენად დამეტებით შეგვაწუხებდა ყაზახებთან ვაი-ვაგლახი.

მე მივიღე სასურველი ქაღალდი, რომლითაც ეცხადებოდა სტანიცების ატამანებს, რომ კანონიერი შემწეობა მოეცათ ჩვენთვის და ამ ქაღალდის ძალით დავარჩენს მგზავრობაში, ისე აღარავის შეუწუხებივართ როგორც აქამდის.

ბრაგუნის მახლობლად მახან-იურტის სტანიცის ადგილი, რომელიც ჩვენ გვქონდა დაქირავებული, შეადგენდა მდიდარს საძოვარს, შემკულს ველ-ტყიანებით და წყლით.

თივა და ჯერი, იაფად ისყიდება ჩეჩნების სოფლებში რომლებიც გარს შემოხვეული აქვს ამ ადგილს და სადაც ისე ხშირად დავდიოდი ხალხის და ჩვეულების გასაცნობლად, რომელიც მაკვირვებდა და მაოცებდა.

ეს მგზავრობა გათავდა ფარეხების შენებით, რომელიც მნახველს გააკვირვებს მწყემსებისგან შრომის გაწევა და მოულალაობა!

წარმოიდგინეთ მთელი სოფელი, ეზოებით, ბაკებით და ფარეხებით, რომლის გვერდებიც კეთდება ორპირის წნულით და შუა ადგილები იჭედება მიწით და დრებლით.

ყოველ დღევე შეუწყვეტელი მუშაობა, იქვე ტყეში ცულების კაკუნი და მწყემსების ხუმრობა, სიმღერა და შაირობა, რაოდენათმე ართობდა კაცს.

ეს მოძრავი მხიარულება რაკი ფარეხები გათავდა შეიცვალა ერთს გვარს მუშაობად, რომელიც ყოველ დღევე შეუცვლელად მეორდებოდა: დილით ადრიან ცხვრის საძოვარზედ გარეკა, საღამოზედ მორეკა და დაბინავება ფარეხებში. ათასში ერთხელ ცხვარის საძოვრად გამრეკი მწყემსი მიჯნაზედ თუ შეხვდებოდა მეორე სასარქლე მწყემს, ისინი თუ დასხდებოდნენ და ერთმანერთს გაუშლიდნენ გულს, უანბობდნენ თავიანთ თავ გადასავალს ამით გაატარებდნენ დროს.

ხანდისხან ღამეს სიმშვიდე დაირღვეოდა ჩეჩნების მოტაცებულის ცხენების გრაგი-გრუგით და მდევრის თოფის სროლით თორემ ცვლილებას ვერასა ნახავდით.

მაგრამ კიდევ ერთი დროს გატარება დამავიწყდა, რომელიც მე ისე გამართობდა ხოლმე და დროს მატარებინებდა: ეს გახლდათ ზღაპრები, ამბები რომელიმე სახელ გათქმული მწყემსის ან ყაჩაღის ცხოვრებიდგან და სხვა-და-სხვა ლეგენდური მოთხრობანი.

აქ ვწყვეტამ ამ წერილებს რადგანაც რაც ვნახე და გავიგონე, როგორც ეს ყველა ჩავისმინე და გავიგე გადავწყვიტე მოთხრობებათ გადმოგცეთ და გაგაცნოთ იმ ხალხის ჩვეულება, ხასიათი და წესები, რომელიც ან საქართველოს ნაწილს შეადგენს, ან არა და იმის აუცილებელს დამოყვრებულს მეზობლებს, რომლებთანაც უფრო მკვიდრი კავშირი არ აგვცდება ჩქარს მომავალში.

ა. მოჩხუბარიძე.

გაზაფხულზე იხოცებიან ავადმყოფობისაგან.

ამ ნაირ მამულ-დედულის ტკეცობა ამაგის გამოტყუვება ძველის ცხოვრებიდგან რომ იყოს დარჩენილი, აქამომდე ჩვენი ხსენებაც გაქრებოდა. ეს სენი გვეწვია ჩვენ ამ უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში. უწინ ცოტას მუშაობდენ, მაგრამ ნამუშევარი თვითონვე რჩებოდათ, და არავინ არ ეუბნებოდა; „ბზე შენ, ხორბალი მე.“ ეხლა კი დრო გამოიცვალა.

(დასასრული ხვალ)

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარაპეტიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

„ქართული ბიბლიოთეკა“,

მარტის დამდეგიდამ ქუთაისში ყოველ თვეობით გამოვა ახალი ქართული ჟურნალი, „ქართული ბიბლიოთეკა“.

ჟურნალში დაიბეჭდება როგორც ევროპის მწერლობის ნაწარმოებთაგან თარგმნილი რომანები, მოთხრობები და ამბები, აგრეთვე ჩვენის მწერლებისაგან შეთხზულნიც.

თანამშრომლობა და ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს, როგორც ქუთაისელმა, ისე ტფილისელ საუკეთესო მთარგმნელ ქალებმა.

ჟურნალის ფასი გაგზავნით ერთის წლისა—ექვსი მანეთი და ნახევარის წლის—ოთხი მანეთი. ცალკე ნომერი ეღირება სამ-აბაზ ნახევრად.

ხელის მოწერა მიიღება, ქუთაისს—ტფილისის ქუჩაზედ დავით ღოღობერიძის სახლში.

ტფილისს—შავერდოვის და ნანუკოვის საგაზეთო სააგენტოში.

ქ. ქუთაისის გარეშე მცხოვრებთ წერილი ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Кутаисъ, въ редакцію журнала «Грузинская Библіотека».*

*P. S.* რადგანაც ზოგიერთის მიზეზების გამო ჟურნალის გამოცემა დაგვიანდა, პირველი ორი წიგნი იანვრისა და თებერვლის, გამოვა მარტში და დანარჩენნი თავის დროზედ.

რედაქტორი და გამომცემელი
მკ. ღოღობერიძისა.

## „იმედი“

ქართული სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი
1883 წელში

გამოვა იმავე პროგრამმით, სივრცით და მიმართულებით, როგორც აქამდის გამოდიოდა, და ახალის თანამშრომელების დახმარებით.

ფასი წლიურის გამოცემისა—8 მ., ნახევარ წლისა—4 მ. და 50 კ., სამი თვისა—2 მ. და 50 კ., ცალკე ნომრისა—1 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში—მხოლოდ რედაქციაში, ანდრეევსკის ქუჩაზე, № 14.

გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით:

*Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «Имеди».*

რედაქტორი და გამომცემი
მახ. გურგენიძე.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## ეროგა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა
გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი 15 კაპ.

## აუქციონი

19 თებერვალს 1883 წელს კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზში იქნება აუქციონით გასყიდვა ოქრო-ვერცხლი და სხვა მეიროფას ნივთებისა (3—2)

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხაიფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—17)

ახალი წიგნი
ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე
შემოკლებული
საქართველოს
## ისტორია

შედგენილი რომან პანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში
სალამური
№ 1.
გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.
ფასი 25 კაპ.


## ტაქსი

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებში 1 თებერვლიდამ 16 თებერვლამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | $3^1/_2$ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჭვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 11 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — |


ინგლისის. მაღაზიაში

## თმის ამომყვანი მაკმასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—46)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკიცილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

## ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**სახელმძღვანელო რუსული ენისა** ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით (**съ удареніями**) და ისყიდება გამომცემლის ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათ. ვისაც უდიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. გრიქუროვის მაღაზიაშივე ისყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქებიდგან და ადგილებიდგან ყოველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუგვიანებლივ.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურადა. უდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურადა.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Февраля 1883 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. [illegible]